PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კასპის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომელშიც ინტერგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი

წევრები:

ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. რემიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ -კასპის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა)*:**

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

*** მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
კომპიუტერული ქსელი და სისტემები, რომელშიც ინტერგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები	40	21	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

მიმდინარე წლის 27 აპრილს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/04/2022 N 394547 ბრძანებით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ კასპის კოლეჯში (მის: ქ. კასპი,დავით აღმაშენებლის ქ. 168-ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში პროგრამა), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე).

ექსპერტთა ჯგუფი მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული დღის განრიგის შესაბამისად (იხ. დანართი N1).

ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს მათ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით, გასაუბრება ასევე მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან;ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელების რესურსი და ვიზიტის დასასრულს გააცნეს ვიზიტის ძირითადი მიგნებები დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

2.2.1 (1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაწესებულებამ მოახდინოს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ C გარემოს მოწყობა და მატერიალური რესურსით აღჭურვა“.

ექსპერტთა შეფასება - შესრულებულია;

2.2.1 (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; სწავლის შედეგების მისაღწევად და სწავლების უწყვეტობისთვის კოლეჯმა უზრუნველყოს ინტეგრირებული მოდულების პედაგოგების გადამზადება მოდულური სწავლების, შეფასების სისტემების და Teams პლატფორმის ეფექტურ გამოყენების საკითხებზე სწავლის დაწყებამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასება - მიმდინარე; ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 19.04.2022 წლის კორესპონდენცია, რომელიც ადასტურებს ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ქოუჩინგის პროგრამის დაწყებას ზოგადი ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებისთვის.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1. მოდულში „პრაქტიკული პროექტის-კომპიუტერულ ქსელი და სისტემები“ არის შემდეგი ჩანაწერი: „მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში“. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან, მოდულის სამივე შედეგის მიღწევა ხდება კოლეჯის გაზაზე, რეკომენდირებულია კოლეჯმა მოდულიდან ამოიღოს ზემოთაღნიშნული ჩანაწერი;

2.2.1.2. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის,, კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რომელშიც ინტერგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხანგრძლივობაა 3 წელი, თუმცა პროგრამის განმახორციელებელ ყველა მასწავლებელს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ,,კოლეჯის მიერ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთანავე და ძალაშია მომდევნო ორი წლის განმავლობაში", რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას პროგრამის მდგრადობას.

ასევე, რეკომენდირებულია ხელშეკრულებაში მითითებული იყოს პროგრამის დასახელება, ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ მოდულის დასახელება, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის გამჭვირვალობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება N30 01.03.2021 ცვლილება N141 12.11.2021 ცვლილება N153 25.11.2021 ცვლილება N 32 04.04.2022
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. კასპი,დავით აღმაშენებლის ქ. 168-ვ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**40,** **ქ. კასპი, დავით აღმაშენებლის ქ. 168-ვ,** **მოდულური**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	**20**

პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. სამაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (20) გათვალისწინებით;

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს ერთი A/B გარემო - სადაც განთავსებულია სამუშაო მაგიდები, სკამები, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის; დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, კარადა, 21 პერსონალური კომპიუტერი, აქედან ერთი - პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ხოლო 20 - პროფესიული სტუდენტისათვის. აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.), მოწყობილია სერვერი.

ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს ერთი C გარემო -ინტეგრირებული მოდულებისთვის - მეცნიერება და ტექნოლოგიები(ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), რომელიც აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით, C გარემოში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა და გამართულია წყლის ნიჟარა .

მოდულში „პრაქტიკული პროექტის-კომპიუტერულ ქსელი და სისტემები“ არის შემდეგი ჩანაწერი: „მოდულის მეორე სწავლის შედეგი „პროფესიული ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება“ სასურველია განხორციელდეს საწარმოში, სადაც სტუდენტს მოუწევს საქმიანობა რეალურ სამუშაო გარემოში“. ექსპერტთა შეფასებით მოდულის სამივე შედეგის მიღწევა ხდება კოლეჯის ბაზაზე, პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან, უფრო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მეტიც, კოლეჯისთვის ამის საჭიროებაც არ არსებობს, მისი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ყველა სწავლის შედეგის მიღწევას. რეკომენდირებულია კოლეჯმა მოდულიდან ამოიღოს ზემოთაღნიშნული ჩანაწერი, რადგანაც არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან.

2. პროგრამის განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია სულ 27 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, მათ შორის 11 ინტეგრირებული მოდულებისთვის და 4 - დარგობრივი მოდულებისთვის. კოლეჯმა წინა ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ პროგრამის მდგრადობისთვის დამატებით გააფორმა შრომითი ხელშეკრულება ერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის,, კომპიუტერული ქსელი და სისტემები", რომელშიც ინტერგირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ხანგრძლივობაა 3 წელი, თუმცა პროგრამის განმახორციელებელ ყველა მასწავლებელს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ,,კოლეჯის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისთანავე და ძალაშია მომდევნო ორი წლის განმავლობაში", რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას პროგრამის მდგრადობას. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს სხვა ხელშეკრულბებიც შეისწავლეს ექსპერტებმა, სადაც ხელშეკრულების ვადა სწორადაა განსაზღვრული.

ასევე, ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ მოდულის დასახელება და არ არის მითითებული პროგრამის დასახელება, რაც ვერ უზრუნველყოფს პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გამჭვირვალობას. (იხ. დანართი N2) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს სხვა ხელშეკრულბებიც შეისწავლეს ექსპერტებმა, რომლებშიც მითითებულია მოდულების მოცულობა და პროგრამის დასახელება.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური ხასიათიასაა, რეკომენდირებულია დაწესებულების მიერ უმოკლეს ვადაში გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი.

3. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

მათი კომპეტენციის დადგენის მიზნით ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, ასევე განხორციელდა გასაუბრება. ექსპერტები გაესაუბრნენ დარგობრივი და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს როგორც დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა zoom-ის გამოყენებით, ასევე ადგილზე.

4. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვნალი ჩართულია როგორც სწავლების, ისე ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესში ისე, რომ თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. ექსპერტთა შეფასებით პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური/ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს მოდულებში მითითებული სასწავლო მასალა კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ინტეგრირებული მოდულების საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ნაბეჭდი სახით, მაგრამ დაწესებულება გეგმავს სწავლების დაწყებამდე ყველა მასალის გაციფრულებას.

6. ექსპერტთა შეფასებით სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან საჭიროების შემთხვევაში შექმნილ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო პროცესის მართვის წესის 29-ე მუხლის შესაბამისად „სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას“. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ექსპერტებმა გაარკვიეს, რომ სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების დაზუსტების შემდეგ მოხდება სასწავლო რესურსების ადაპტირება ან/და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით. დოკუმენტის შესწავლისას ირკვევა, რომ პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 9 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება , სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი და კომუნალური ხარჯი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *პროგრამა კომპიუტერული ქსელი და სისტემები, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და მოდულები;*
- *კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- *პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;*
- *მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგი;*
- *პროგრამის ბიუჯეტი;*
- *პროგრამის განმახორციელებელი პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თანდართული დოკუმენტაცია (ვიზიტის დღის წესრიგი - 1ფურცელი; შრომითი ხელშეკრულება - 4 ფურცელი), სულ 5 ფურცელი გაგზავნილია ცენტრში დასკვნის პროექტთან ერთად.

17/05/2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: